



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამთა კვინიკაძე

წევრები:

ქეთევან ჯანელიძე

(ქალაქი, წელი)

1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. კვინიკაძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 212693049

☒ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 19.12.22 წლის N 1622467 ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა "დონისძიებების ორგანიზება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, რომლის მიზნით განახორციელა ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 26 იანვარს (ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21). დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილულ იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერდა საყურადღებო საკითხები და შემუშავდა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიულ მასწავლებლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ დაფიქსირებულა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1.1. დაწესებულებას საკუთრებაში არ აქვს მოდულის „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. ამ მოდულის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს მემორანდუმი მოძრავ დაბადების დღის ცენტრთან, რომელიც არ მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


(მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, განხორციელების ადგილს), შესაბამისად, პროგრამის განხორციელება სრულად არ არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსით.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2 თვიანი 30.01. 2023 დან 30.03.2023 მდე), რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება.

დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოახდინოს მოდულისათვის „ლონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ შესაბამისი მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა.

2.4.1. სასწავლო პროცესი ვერ უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. რადგან დაწესებულებას არ აქვს მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი, შესაბამისად, ვერ დადასტურდება დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების მიღწევისას (2.4.1.3) და პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან სათანადო მემორანდუმით. (2.4.1.5)

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2 თვიანი 30.01. 2023 დან 30.03.2023 მდე), რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება, დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოახერხოს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა და ასევე თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დადასტურდეს სათანადო მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


განმავითარებელი რეკომენდაციები :

ინდიკატორი 2.1.1.1

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილობის დასაბუთებაში კონცეპტუალური საკითხებთან ერთად გამოკვეთოს ეკონომიკურ ასპექტები, პროგრამის განხორციელების რესურსული და ოპერაციული მიზანშეწონილობის ასპექტები.

ინდიკატორი 2.2.1-6

- დაწესებულებაში შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი, რომელშიც მოიაზრება სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება. კოლეჯში ამ დრომდე არ დამდგარა სტუდენტებისათვის სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა სასურველია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს სასწავლო რესურსის ადაპტირების მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.)

ინდიკატორი 2.4.2.2

- სასურველია, დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმში გაწეროს ვერიფიკაციის პერიოდულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #26, 10.11.22წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	აწსუ-ს XVIII კორპუსი ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული სწავლება

7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, კოოპერაციული სწავლების ფორმით; ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა
[Handwritten signature]

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლონისძიების ორგანიზების“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმას.

დაწესებულების მიზანშეწონილობის დოკუმენტის აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მოსახლეობის დასაქმებაა. პროგრამის „ლონისძიების ორგანიზების“ კურსდამთავრებულებს დასაქმების კარგი შესაძლებლობები მიეცემათ. კარგად დაგეგმილი ღონისძიება ასევე ზრდის კონკრეტული რეგიონის, ქალაქის ან ქვეყნის მიმართ საზოგადოების ინტერესს, ხაზს უსვამს ტერიტორიული ერთეულის მნიშვნელობას, მომგებიანს ხდის კულტურულ, პოლიტიკურ, სპორტულ, ტურისტულ თუ საგანმანათლებლო პროცესებს.

თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილობის დასაბუთებაში კონცეპტუალური საკითხებთან ერთად გამოკვეთოს ეკონომიკურ ასპექტები, პროგრამის განხორციელების რესურსული და ოპერაციული მიზანშეწონილობის ასპექტები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ლონისძიების ორგანიზება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს ზოგადი განათლების ბაზაზე, პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს A და C გარემოს და მატერიალური რესურსების საკმარისობას.

11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანოა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, პროგრამა ღონისძიების ორგანიზება დამტკიცებულია 2022 წლის 10 ნოემბრის N 26 დადგენილებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; პროგრამის სახელწოდება, ღონისძიების ორგანიზება' სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ღონისძიების ორგანიზება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება“ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე და სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- რექტორის 2023 წლის 24 იანვრის ბრძანება N12 დამტკიცებულია სასწავლო პროცესისა და ხარისხის მარეგულირებელი წესი
- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მისია;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. ამ მეთოდოლოგიის თანახმად, „ლონისძიების ორგანიზების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 40 სტუდენტით (თითო

13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


ცვლაში 20 პროფ.სტუდენტი). აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროფესიული მოდულის განხორციელება დაგეგმილია A გარემოში (რომელიც განკუთვნილია კონკრეტულად ამ პროგრამის განხორციელებისათვის), B გარემო ესაჭიროება მხოლოდ ერთ მოდულს „ინფორმაციული წიგნიერება“, აღნიშნულ A და B გარემოში დაწესებულებას აქვს მოდულების განხორციელებისათვის შესაბამისი ინვენტარი. C სასწავლო გარემო ესაჭიროება მოდულს „ლონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ აღნიშნული პროფესიული მოდულის განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ინდივიდუალურ მეწარმესთან, რომელსაც აქვს მოძრავი დაბადების დღის ცენტრი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით მივიღეთ ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაზე გაცნობითი პრაქტიკის და პრაქტიკული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, გეგმავს თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა მიმართულებით.

ხარვეზი: როდესაც მოდულის მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია და ამ მოდულის განხორციელებას გეგმავს პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ასეთ შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ უნდა იყოს იმ მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც მოდულით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის არის საჭირო. ხელშეკრულებას დანართის სახით უნდა ახლდეს კონკრეტული მოდული და მატერიალური რესურსის ნუსხა, რომლის გამოყენების მზაობას ხელშეკრულებაში პარტნიორი მხარე უნდა ადასტურებდეს. ასევე, გარკვევით უნდა იყოს მითითებული, რომ პარტნიორი ორგანიზაცია თანახმაა მოდული მის სივრცეში განახორციელოს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა (ვინაიდან დაწესებულებას აღნიშნული მოდულისათვის ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებელი). ასევე, ჩანდეს მომსახურების საფასური ან მიეთითოს სხვა გარემოება. მოგეხსენებათ, მოდულის განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო სივრცე. წარმოდგენილი ინდ.მეწარმე არის მოძრავი დაბადების დღის ცენტრი. ამ ნაწილშიც საჭიროა ხელშეკრულებაში დაკონკრეტდეს კონკრეტულად სად ან რა მიდგომით განხორციელდება აღნიშნული მოდული. ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეების იურიდიული დასახელება სწორად. აღნიშნულ მემორანდუმში მითითებულია დაწესებულების ორი სხვადასხვა სახელი (სავარაუდოდ ორივე არასწორი) “ლუკელენდი” და „ლუკუნდი“. შესაბამისად, პროგრამის განხორციელება სრულად არ არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსით.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2 თვიანი 30.01. 2023 დან 30.03.2023 მდე), რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება. ასევე წარმოადგინა უკვე გაფორმებული მემორანდუმები, თუმცა ექსპერტებს აღნიშნული მემორანდუმები არ შეუსწავლიათ და არც გასაუბრება არ მომხდარა შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოახდინოს მოდულისათვის „ლონისძიების ტექნიკური მომსახურება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. გვინიატა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოება“ შესაბამისი მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 16. მათ შორის 9 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“ და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა

15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა დაწესებულებაში. მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი დაცულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და ბეჭდური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია კატალოგში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერში.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში შესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას, თუმცა ჩანაწერი რესურსების ადაპტირებასთან დაკავშირებით არ არის, სასურველია დაწესებულებამ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწეროს სსსმ პირებისათვის შესაბამისი რესურსების ადაპტირების მეთოდოლოგია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“.
- ბრძანებით დამტკიცებული „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პროგრამის ბიუჯეტი.
- ბიბლიოთეკა.
- დაწესებულების ვებ-გვერდი.
- მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე.
- ინტერვიუება.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგისა და განვითარების პროცესებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ასევე დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. დოკუმენტის გაცნობისა და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგისა და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი

2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიზნით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის

18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


უზრუნველყოფის პოლიტიკა EP QA ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს, რომლის თანახმად, პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის შედეგად აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გასაუბრებებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა EP QA;

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე


2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;** დაწესებულებაში ვიზიტის დღეს ადმინისტრაციამ ექსპერტებს განგვიმარტა, რომ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი პროგრამული პაკეტი იყო არასწორად ატვირთული, ხოლო ადგილზე წარმოადგინა პროგრამული პაკეტი, რომელშიც ტექნიკური ხარვეზი გასწორებული იყო. აღნიშნულ პაკეტში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სასწავლო გეგმა პროგრამის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 61 კრედიტი. მათ შორის 13 პროფესიული მოდული 46 კრედიტის მოცულობით, 5 ზოგადი მოდული 15 კრედიტის რაოდენობით. პროგრამის ხანგრძლივობა - 44 კვირაა. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 91 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 64 კვირა. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოდულების დაშვების წინაპირობა და განმეორებითი შეფასებისათვის საჭირო დრო.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით, ტარდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯში არსებული თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი იძლევა საშუალებას ყველა პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები საჭიროებებთან დაკავშირებით.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული დავალება, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, დისკუსია. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა დაწესებულებას არ აქვს მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი, შესაბამისად ვერ დადასტურდება დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების მიღწევისას. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (2 თვიანი 30.01. 2023 დან 30.03.2023 მდე), რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება, დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში მოახერხოს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესს გეგმავს ცვლებში, სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს. უზრუნველყოფს დროულად ცნობების გაცემას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი მოძრავ დაბადების დღის ცენტრთან, მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მოდულის „ლონისძიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. კვინიატაძე


ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ განხორციელება. მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმი არის უკვე, **თუმცა მემორანდუმი არ მოიცავს სრულად სათანადო ინფორმაციას**. მემორანდუმს დანართის სახით უნდა ახლდეს კონკრეტული მოდული და მატერიალური რესურსის ნუსხა, რომლის გამოყენების მზაობას ხელშეკრულებაში პარტნიორი მხარე უნდა ადასტურებდეს. ასევე, გარკვევით უნდა იყოს მითითებული, რომ პარტნიორი ორგანიზაცია თანახმაა მოდული მის სივრცეში განხორციელოს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა (ვინაიდან დაწესებულებას აღნიშნული მოდულისათვის ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებელი). ასევე, ჩანდეს მომსახურების საფასური ან მიეთითოს სხვა გარემოება. მოგეხსენებათ, მოდულის განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო სივრცე. წარმოდგენილი ინდ.მეწარმე არის მოძრავი დაბადების დღის ცენტრი. ამ ნაწილშიც საჭიროა ხელშეკრულებაში დაკონკრეტდეს კონკრეტულად სად ან რა მიდგომით განხორციელდება აღნიშნული მოდული. ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეების იურიდიული დასახელება სწორად. აღნიშნულ მემორანდუმში მითითებულია დაწესებულების ორი სხვადასხვა სახელი(სავარაუდოდ ორივე არასწორი)“ლუკელენდი“ და „ლუკუნდი“. შესაბამისად, **ჰსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან ვერ დასტურდება სათანადო მემორანდუმით.**

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა(2 თვიანი 30.01. 2023 დან 30.03.2023 მდე) , რომელშიც განსაზღვრულია, შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება, დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დადასტურდეს სათანადო მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამა „ლონისძეების ორგანიზება“ არ ითვალისწინებს განსაკუთრებული შრომის უსაფრთხოების დაცვის საჭიროებას (ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, რეგულაციებს). შესაბამისად, სწავლების დროს დაცული იქნება ზოგადი შრომის უსაფრთხოების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო გეგმა.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე.
- ინტერვიუება.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიაძე
[ხელმოწერა]

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
დაწესებულებიას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მუხლი N 41 უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა.
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმი.** დაწესებულების მიერ „აწსუ პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გამოყენებული იქნება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სასურველია, დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმში გაწეროს ვერიფიკაციის პერიოდულობა.
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.** დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. კვინიაძე


4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით, შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, კოოპერაციული სწავლების ფორმით; ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

X. თანდართული დოკუმენტაცია

09.02.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გვინიატა


